№ 204
1877

ივერია

№ 204
1903

სექტემბერი 24, ოთხშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სექტემბერი 24, ოთხშაბათი 1903 წ.

ტფილისი

რედაქციისაგან

ვისაც გაზეთის ფული სრულად არ შემოუტანია, რედაქცია სთხოვს, დააჩქარონ ფულის გამოგზავნა.

პირველ ოკდომბრიდგან წლის დამლევამდე
გაზ. „ივერია“
ღირს 4 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ

ტფილისის სახაზინო თეატრი
რუსული ოპერა
ანტრეპრიზა მის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.
ოთხშაბათს, 24 სეკდემბერს 1903 წელს,
წარმოდგენილი იქნება
ტრავიატა
ოპერა 4 მოქმედებად, მუსიკა ვერდისა.
ალფრედის პარტიას პირველად ტფილისში შეასრულებს ბ-ნი ფიგნერი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი კარტავინა, სკორუპსკისა და სხვანი; ბ-ნი ფიგნერი, ილიუშენკო, ევლახოვი, შმაკოვი, კრინიცკი, გავრილოვი, პერელლი.

უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი. კაპელმეისტერი ი. ა. პაგენი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ანონსი: ხვალ, ხუთშაბათს, 25 სეკდემბერს, წარმოდგენილი იქნება «რუსალკა» ოპერა 5 მოქმედებად; პარასკევს, 26 სეკდემბერს, წარმოდგენილი იქნება «ევგენი ონეგინი», მუსიკა ჩაიკოვსკისა. ბილეთები იყიდება.

წარმოდგენა № 2. ტელეფონ № 617
ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 25 სეკდემბერს 19[illegible] წელს
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება
I
სტუმარი
დრამა 2 მოქმედ. ი. ბრანდესისა, თარგ. ი. მაჭავარიანისა.
II
სიძე—სიმამრი
კომედია 3 მოქმ., გადმოკ. ვ. გუნიას მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელისა, ნ. ჩხეიძე და ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, კ. მესხი, ლ. მირიანაშვილი, შათირიშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
რეჟისორი აბაშ.

მისაღები ეგზამენი
ტფილისის
საბაღოსნო სკოლაში
დანიშნულია 7 ღვინობისთვესათვის
(3—20—1)

ახალშენიშვილი
ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წ.)

ნაფიცი ვექილი
გ. ი. ბძელიშვილი
გადავიდა მიხეილის ქუჩიდან ველიკოკნიაჟესკაია ქუჩაზე, როტინოვის სახლში, № 10, (გედევანიშვილის სამკურნალოს გვერდით). მთხოვნელებს მიიღებს ჩვეულებრივ ყოველ დღე შაბათს გარდა საღამოობით 7-დგან 9 საათამდე.

ნაფიცი ვექილი
გვაზავა
გადავიდა: ფრეილინის ქუჩაზე, № 15.
(3—2)

გამოვიდა და იყიდება ყველგან „წერა-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნები:
1.
წიგნის ისტორია
შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ
14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ.
2,
დანიელ დეფოს
რობინზონ კრუზე
მეორე გამოცემა მრავალის სურათით.
162 გვ. ფასი 30 კ.
წიგნების დაბარება შეიძლება ფას-დადებითაც: Тифлисъ, Общество грамотности.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა-დღეებს გარდა.
დილაობით:

ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობის.

გ. აფეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალის და ბავშვთ ავადმყოფობანი.

ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურსა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი ა. ი. შჩერბინინა. 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

კერძო სამკურნალო
ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა
კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი მ. კ. იოსელიანი—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

ტფილისი

კვირას, 21 სეკდემბერს, საქართველოს საეგზარხოსოს მმართველმა, ეპისკოპოსმა ბენიამენმა, პარაკლისი გადაიხადა მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ავადმყოფობისაგან განსაკურნებლად. ამასთანავე ყოვლად სამღვდელომ განკარგულება მოახდინა, რომ ქალაქის ეკკლესიებში 26 სეკდემბერს წირვის შემდეგ ესეთივე პარაკლისი გადიხადონ.

ჩვენი არტისტი ლადო მესხიშვილი ამ ჟამად ტფილისშია და მოლაპარაკება აქვს ქართულ დრამატიულ საზოგადოების კომიტეტთან ქართულ წარმოდგენებში მონაწილეობის მიღების შესახებ.

კვირას, 21 სეკდემბერს, ვაჟთა პირველ გიმნაზიის დარბაზში, ბ-ნ ლოპატინსკის თავმჯდომარეობით, საარქეოლოგიო საზოგადოების კრება იყო. კრებამ პირველად მოისმინა მოხსენება მ. ჯანაშვილისა, რომელიც საზოგადოების მინდობილებით ამას წინად აფხაზეთის სოფელ დიხაზორგაში გაემგზავრა ძველ ნაწერების წასაკითხავად. ჯანაშვილის გამოკვლევით, წარწერა ეკუთვნის XI—XII საუკუნეს. გზად ჯანაშვილს, როგორც წინადაც მოხსენებული გვქონდა, დაუთვალიერებია აგრეთვე რუხისა, შხეფისა და ახლო-მახლო სოფლების ძველი შენობანი. დიხაზორგის ნანგრევებზე წარწერა ქართულია და ეკუთვნის თამარ დედოფლის დროს.

ექვთიმე თაყაიშვილმა მოიყვანა ერთი მაგალითი, თუ როგორ ექცევიან საისტორიო-საარქეოლოგიო განძებს თვით სასულიერო წოდების წარმომადგენელნი. თაყაიშვილს დაუთვალიერებია საფარის მონასტერი და აქ, სხვათა შორის, პატარა ეკლესიაა წმ. მარინეს სახელობაზე. ეკლესიაში დღევანდლამდე მშვენივრად დაცულია ქართველ გმირთა სურათები კედლებზე. ამ მონასტერში მცხოვრებ რუს-ბერებს ეკლესიის კედლებში ლურსმები ჩაუსვამთ, თოკები გაუბამთ და ეხლა ამ თოკზე საცვლებსა ჰფენენ თურმე გასაშრობად. კრებამ დაადგინა, სთხოვოს გუბერნატორებს, დაავალოს პოლიციის წარმომადგენელთ, რომ მეტის სიფრთხილით მოექცნენ ადგილობრივ საისტორიო და საარქეოლოგიო ნაშთებს და ნება არ მისცენ ხალხს გაფუჭება-გაოხრებისა. პრივატ-დოცენტმა ა. ი. გრენმა წაიკითხა ორი მოხსენება წალკაში მოგზაურობის შესახებ. გრენს გაუთხრია რამდენიმე ადგილი და უნახავს 46 სხვა-და-სხვა ნივთი. გრენს ეს ნივთები 1115 წლის ნაწარმოებად მიაჩნია. კრებამ მადლობა გამოუცხადა მომხსენებლებს და დაადგინა მათი მოხსენება დაიბეჭდოს განყოფილების „უწყებაში“.

დასასრულ კრებამ აირჩია განყოფილების ნამდვილ წევრად პ. პავლოვი, ე. ლიოზენი და ნ. რიაზანოვი.

მკითხველებმა უკვე იციან, რომ ღამის თავშესაფართან განზრახულია სამუშაო სახლის დაარსება. 21 სეკდემბერს ქ-ნ ავეტისოვის მიერ შეწირული საქარხნო მოწყობილობანი დაათვალიერა თავშესაფარის გამგე კომისიამ. კომისიამ მთელი შეწირული ქონება დააფასა 2,000 მან. ქ-ნი ავეტისოვი თხოულობს,—ვიდრე ცოცხალი ვიქნები, სარჩენად თვეში 20 მან. დამინიშნეთო. კომისიამ გამოიანგარიშა, რომ ქარხნის მოწყობა ქალაქს დაუჯდება 15,000 მანეთად.

ქუთაისის მაზრაში, მამულ „კლ[illegible]ჭგურულ“-ში, მეღვინეს ტიებოს გაუმართავს ამერიკის ვაზის სანერგე და საცდელი მინდორი. სანერგეში მიუღია ადგილობრივ მცხოვრებთაგან 10 კაცი, რომელნიც პრაქტიკულად სწავლობენ ვენახის მოვლა-მოშენებას და ღვინის დაყენებას. პრაქტიკანტებს ხელმძღვანელობას უწევს მეღვინე დ. გ. მდივანი, რომელსაც სწავლა დაუსრულებია ნიკიტინის სასწავლებელში. პრაქტიკანტებს ასწავლიან აგრეთვე ამერიკის ვაზის დამყნასაც. ყოველივე ეს ტიებომ შეატყობინა მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულს. აცნობა, თუმცა მსურველი ბევრია, მაგრამ სახსარი არა მაქვს 8—10 პრაქტიკანტზე მეტი მივიღოო და სთხოვა გაუგზავნოს მოსწავლეთათვის ქართულ და რუსულ ენაზე გამოცემული წიგნაკები მეღვინე-მევენახეობის შესახებ.

ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ქალაქმა განიზრახა გამოისყიდოს ყორღანოვისა და ალიბეგოვისაგან ცხენის რკინის გზის ლიანდაგი ავჭალის ქუჩაზე; ხელშეკრულობის ძალით, ქალაქს უფლება აქვს გამოისყიდოს გზა, ხოლო ერთის წლის წინად უნდა აცნობოს კონცესსიონერებს. თუ ეს ვადა გავიდა, იმ შემთხვევაში ქალაქი ჰკარგავს გამოსყიდვის უფლებასა თუ არა? ამ საკითხის გამოსარკვევად ქალაქის გამგეობა დაჰკითხებია იურიდიულ გაზეთ „პრავოს“ რედაქციასა და იურიდიულ საზოგადოებას, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტთან არსებობს.

გაზეთ „ჩერნომორის პობერეჟიე“-ში აღწერილია გაჭირვებული მდგომარეობა სოჭელ მუშებისა: ხშირად ნახავ მრავალ მუშა ხალხს ზღვის პირად ღამე აქა-იქ მწოლარეს, ცივს ნიადაგზედ. ამ მუშათა შორის ბევრი გაფითრებულ-ჩაყვითლებული სახისაა; ციებ ცხელებისაგან ღონე-მიხდილნი ჰკვნესიან და მშველელი არავინა ჰყავთ; წყურვილს იკლავენ მდინარის წყალით, რომელიც წუმპეს წააგავს და უფრო ავრცელებს ავადმყოფობას. ცის ქვეშ წოლა ზღვის პირად ამ ცივ ღამეებში ულოგინოდ, უსაბნოდ, სრულიად გაუტეხს ჯანს საწყალ ხალხს; ეს თვით მუშებმაც იციან, მაგრამ ზღვის პირს არჩევენ უვარგის თავშესაფარებს, როგორიც ყავახანები და ბაკებია, სადაც ისეთი დახშული და წამხდარი ჰაერია, რომ ვისაც ცოტად მაინც თავის ტკივილი აქვს, ის, შესაძლოა, ერთს ღამეში ამოიღრჩოს. ასეთს გაჭირვებაში არის მუშა ხალხი და ქალაქის სამმართველო-კი სრულიად არ ზრუნავს თავშესაფარი გაუმართოს. ღარიბთა დამხმარებელ საზოგადოებას თავისი სახლი აქვს თავშესაფარისათვის, მაგრამ ეს სახლი დაუკეტნია და ოკდომბრამდე არ აღებს, თუნდა ეხლავეც ცუდი ამინდი დაიჭიროს.

ჩვენ მოგვივიდა ახალი წიგნაკი „სამეგრელოს საერო სკოლები“—ლუარსაბ ლოლუასი. ცნობებს ამ წიგნაკის ღირსებაზე მკითხველები ბიბლიოგრაფიაში იპოვიან, რომელსაც ხვალ დავბეჭდავთ. ფასი წიგნაკისა ერთი შაურია.

მოგვივიდა აგრეთვე ახალი წიგნი „ქვეყნიერების გასაოცარი ამბები“, უკვდავის კაცების სურათებით, შედგენილი და გამოცემული კ. გრიგორიანც ყაზახელის მიერ. ფასი ერთი მანათი.

—

ქალაქის საბჭო, 22 სეკდემბერი. ეს კრება მეტად სამხიარულო და გამართობელი იყო. ხმოსნები ისე ცხარედა და გატაცებით ლაპარაკობდნენ, რომ ვერ შენიშნეს 11 საათის მოახლოვება. კვლავ კი 10 საათიდგან კარებს ათვალიერებდნენ, თითქო ეშინიათ, არ ჩაიკეტოსო. ამ კრებამ კვალად გაამართლა ანდაზა: „რასაც კაცი თავის თავს უზამს, მტერი ვერ უზამსო“. რაც საღამოს ხმოსნებმა ერთმანერთსა და მთლად ქალაქის დაწესებულებას ჰკადრეს, იმის ნახევარი რომ თ-დ მეშჩერსკის ეთქვა, ყველანი ყალხზე დადგებოდნენ.

პირველი შურდული ხმოსანმა ქოჩორიანცმა ისროლა. საბჭოს მოხსენდა ამბავი ერთის მამულისა, რომელიც ქალაქს თავისი ეგონა. 1873 წ. ვისმე პოლიევქტოვს იჯარით აუღია ინჟენერთა გამგეობისაგან სახაზინო მიწა ძველ სახაზინო თეატრის ქუჩაზე. გასულა 40—50 წელიწადი, და ინჟენერთა გამგეობას მაშინ მოუჰგონებია იჯარით გაცემული მიწა. მოუთხოვნია პოლიევქტოვის მემკვიდრისაგან მამულის დაბრუნება. იმათ გამოუცხადებიათ, მიწა ჩვენს საკუთრებას შეადგენსო. ატეხილა დავა. ამ მიწასთან ერთი თავისუფალი ნაჭერი მიწა ყოფილა, 40 ოთხ-კუთხი საჟენი. პოლიევქტოვს ქალაქის გამგეობისათვის განცხადება მიუცია, ეს ნაჭერი ქალაქისაა, დაეპატრონეთო და ამის მოწმობა მომეცითო. ქალაქის გამგეობას მთხოვნელი დაუკმაყოფილებია. პოლიევქტოვს ამ ხერხით სდომებია დაემტკიცებინა, რომ მის მიერ დასაკუთრებული მამულიც ქალაქისა ყოფილა ოდესმე და ინჟინერთა გამგეობა ტყუილად მედავებაო. გავიდა 14—15 წელიწადი. პოლიევქტოვმა ინჟინერთ მოუგო საქმე, დავა დიდიხანია

გათავდა; ხოლო ეს 40 საჟენი მიწაც პოლიევქტოვმა მიითვისა და ქალაქი პუბლუცზე დასვა. ქალაქის გამგეობას ეხლა მიუგნია ამ საქმისათვის და მოხსენება შეუტანია ქალაქის საბჭოში, როგორ მოვიქცეთ, ეს მიწა ქალაქის საკუთრებად ვიგულისხმოთ, ხაზინისად თუ პოლიევქტოვისადო. ხმოსნებმა იტკიცეს, სად იყავით, რატომ აქამომდე არ მოგვახსენეთ, რომ ათის წლის ვადა არ გასულიყოვო? გამგეობის წევრმა შესტაკოვმა უპასუხა: ვერ გამიგია, ვის ეკითხებითო: თუ ჩვენა გვკითხავთ, ჩვენ ახალი არჩეულები ვართ და ჩვენამდე ათი წელიწადი უკვე გასული იყოვო. ჩვენმა წინა მოადგილეებმა რად დაივიწყეს ეგ საქმე—შეგიძლიანთ იმათა ჰკითხოთო (ზოგი მათგანი მკვდარია)... ვაი თუ მაგგვარ მივიწყებით ქალაქის სხვა მამულებსაცა ვკარგავდეთო,—სთქვეს სხვა ხმოსნებმა. რა ვუყოთ, როგორ ვუყოთ, რომ მაგისთანა აღარა დაგვემართოს-რაო.

— რასა სწუხართ, რა თავს იმტვრევთ, ვის ქონებას მისდევითო,—სთქვა ხმოსანმა მიკირტიჩიანცმა.—კაცს მამული 60—70 წელიწადი სჭერია და ეხლა გინდათ წაართვათო;—ლაპარაკში დროს რადა ჰკარგავთ, სხვა საქმეებიცა გვაქვს განსახილველიო. მაგრამ,—დაუმატა ხმოსანმა,—თქვენ სულ ეგრე იცით და თვალს აფაციცებთ, უპატრონოდ ხომ არა გდია-რა, ხელი წავატანოთო.

თავმჯდომარემ, რასაკვირველია, შენიშვნა მისცა ორატორს, საწყენს ნურარას გაგვაგონებო.

საბჭომ დაადგინა გამოვრიცხოთ ეს მიწა ქალაქის მამულების სიიდგან და გარდასახადი მოვსთხოვოთ იმის პატრონს წარსულის წლებისაო.

მეორე სადავიდარაბო საგნად მუშთეიდის ბაღი გაუხდათ. გამგეობის მოხსენებიდანა სჩანს და უიმისოდაც ვიცოდით, რომ ამ ოცის წლის წინად სახელმწიფო ქონებათა გამგეობა ამ სახაზინო ბაღს უთმობდა ქალაქს, რიგიანად მოაწყეთ და ისარგებლეთო. ქალაქის სამმართველომ, რასაკვირველია, ისურვა ბაღის მიღება, ხოლო იმ პირობით, რომ ბაღის ხარჯიც ხაზინას ეკისრნა. მაშინდელი მთავარმართებელი, რასაკვირველია, ამ პირობას არ დასთანხმდა. სახელმწიფო ქონებათა გამგეობამ მოხსენება წარუდგინა სამინისტროს, ბაღი ისევ ამ უწყების გამგებლობაში დარჩესო. ეს აზრი, სამინისტროს მიერ მოწონებული, უმაღლესად დამტკიცდა. შემდეგ ამ ბაღში საბრეშუმო სადგური დააარსდეს, ხეები დასჭრეს და შენობები ააგეს. მაშინ ქალაქი დაფაცურდა და შუამდგომლობა აღძრა, ბაღი გადმოგვეცით, წინანდელ პირობებითაო. სამინისტრომ უარი უთხრა, გვიანღაა, უმაღლესი ბრძანება ვერ შეიცვლებაო. მერე ბაღის მეორე ნაწილიც გასჭრეს და საფუტკრე დააარსეს. ქალაქმა კვალად შუამდგომლობა აღძრა და უარივე მიიღო. მას შემდეგ მისტირის ქალაქი ამ საქმეს და ვერა გაუწყვია-რა. ეხლა თურმე რაღაც გარემოება ხელს უწყობს ამ საქმეს და ქალაქი კვალად და კვალად ხვეწნას აპირობს, რადგან ეფიქრება. კიდევ არა გაშენდეს-რა მუშთეიდში და ეს თითქმის ერთადერთი სასეირნო ბაღი სრულიად არ შეიკრასო ისე ვითხოვოთო, ამბობდნენ ზოგი ხმოსნები,- რომ ეს ბაღი საკუთრებად მოგვეცესო.—ისე კი გკითმობენ, რომ დასაკუთრებაც ვინდომოთო! — უპასუხეს სხვებმა.

საბჭომ დაადგინა, შუამდგომლობა აღძრათ მუშთეიდის ბაღი დაგვითმონ, თუ საკუთრებად არა, საუდამო სამფლობელოდ და მივანდოთ ქალაქის მოურავს ეცადოს, რომ ჩვენი შუამავლობა შეწყნარებულ იქმნასო.

ხმოსანმა ა. ბაზოვმა იკითხა, რა პირობით იღებენ ეხლა ბავშვებს სახელოსნო სასწავლებელშიო? მგონი წესი უნდა შეცვლილიყოვო?

გამგეობის წევრმა შესტაკოვმა უპასუხა: მართალია, დავადგინეთ ახალი წესი შემოგვეღო, მაგრამ სახელოსნო სასწავლებლის გამგემ შესაძლოდ ვერ დაინახა ამ ჟამად წესის შეცვლა და წელს წინანდელის წესით უნდა მივიღოთო.

თავმჯდომარემ სთხოვა ხმოსნებს, ვისაც რა სათქმელი გაქვთ, ან წინადვე განაცხადეთ, ვიდრე საქმეების განხილვას შევუდგებოდეთ, ან ბოლოსაო.

ხმოსანმა ევანგულოვმა განაცხადა, მე მაქვს სათქმელი და ბოლოს მოგახსენებთო.

საბჭო შეუდგა ექვსის ხმოსნის განცხადების განხილვას იმის შესახებ, რომ ბელგიელთა უსახელო საზოგადოება ტფილისის ტრამვაისა ხელშეკრულობას მტკიცედ არ ასრულებსო. ხმოსანთა განცხადება ქალაქის გამგეობას გადაუცია იმ კომისიისათვის, რომელსაც დავალებული აქვს თვალ-ყური ადევნოს ცხენის რკინის გზის მოქმედებას. კომისიას სწყენია ხმოსანთა შენიშვნა, ყოველი მისგან ნაჩვენები მაგალითი ხელშეკრულობის დარღვევისა უსაფუძვლოდ უცვნია და პასუხში საოხუნჯო სიტყვები გაუტარებია, ხმოსანთა წინააღმდეგ მიმართული. ხმოსნებს ასეთი პასუხი სწყენიათ და მათგან ერთმა, ბ-ნმა ხუდადოვმა, განაცხადა, ამისთანა პასუხი საკადრისი არ არის და ამხანაგების შეურაცხყოფააო.

თავმჯდომარემ შეაჩერა, მაგისთანა სიტყვებს ნუ გაგვაგონებთო.

ხმოსანმა ხუდადოვმა განაგრძო: კომისიის პასუხი ბელგიის საზოგადოების ინტერესების მცველს, მათს ადვოკატს, უფრო შეჰფერისო.

თავმჯდომარემ კვალად გააწყვეტინა სიტყვა.

ბ-ნმა ხუდადოვმა სთქვა: კომისია თავის მოვალეობას მტკიცედ რომ ასრულებდეს, ბელგიის საზოგადოებას ყოვლდღე ჯარიმა უნდა გამოერთვასო. მან მაგალითად მოიყვანა კომისიის მიერ აღნიშნული ფაქტი, რომ შარშან ზაფხულის ბოლოს მთელი ორი-სამი თვე ბელგიის საზოგადოება იმდენ ვაგონს არ ამუშავებდა, რავდენისაც მოვალეაო. ორი-სამი თვის ჯარიმა 15,000 მანეთს შეადგენს. აბა, ახლა მიბრძანეთ, იმ დროს რა გადაახდევინეთო. აღმოჩნდა, რომ მაშინ არ დაუჯარიმებიათ ცხენის რკინის გზის საზოგადოება და კვლავაც ჯარიმა 50 მანეთს არ ასცილებია. მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს 3,000 მანეთი შეუწერიათ იმის გამო, რომ ვაგონებს შესაფერი ფარნები არა ჰქონია.

— შეწერით კი აწერთ, მაგრამ საქმით-კი იხდის საზოგადოება ჯარიმებსა თუ არაო? იკითხა ერთმა ხმოსანმა. —ამბობენ, არაო.

თავმჯდომარემ უპასუხა, ჯარიმას თუ შევაწერთ, ვახდევინებთ კიდეც და უკანასკნელი 3.000 მანეთიც დავიჭირეთ საზოგადოების ბედ შემოტანილ ფულიდგანაო.

ხმოსანმა თავ. არღუთაშვილ-მხარგრძელმა იკითხა: წარსულ თვეში რომ რამდენსამე დღეს შეწყვეტილი იყო რკინის გზის მიმოსვლა, გადაახდევინეთ ჯარიმა თუ არაო?

— არაო—,თავმჯდომარემ უპასუხა,— რადგან მაშინ გაფიცვის მიზეზით იყო შეწყვეტილიო.

ხმოსანმა თავ. არღუთაშვილ-მხარგრძელმა ვრცელის სიტყვით დაახასიათა უწესო მოქმედება უსახელო საზოგადოებისა, არეულობის ბრალი თვით ამ საზოგადოებას დასდო, რადგან მცირე ჯამაგირს აძლევს მოხელეებსაო და უსაყვედურა ქალაქის სამმართველოს, რომ ოთხის წლის განმავლობაში, ხელშეკრულობის თანხმად უნდა შედგენილიყო და დღევანდლამდე არ არის შედგენილი წესი რკინის გზის მიმოსვლისა. სწორედ ეს გარემოება ჰბადავს უწესოებასაო.

ხმოსანმა ა. ღულაძემ, კომისიის წევრმა, სთქვა: კომისიის თავმჯდომარე ეხლა აქ არის, რომ ეპასუხნა, და, რასაც მე ვიტყვი, ის პირადად ჩემი პასუხი იქნებაო. ჩვენა გვძრახამენ, ვითომც რკინის გზის საზოგადოებას მფარველობას ვუწევდეთო.

თავმჯდომარემ შენიშნა, თავდაჭერით ილაპარაკეთო. ბ-მა ღულაძემ განაგრძო: მაშ გამათრახება არ არის, როდესაც უსახელო საზოგადოების ადვოკატობასა გვწამებენო?.. ჩვენ არამც თუ არ ვეხმარებით საზოგადოებას, პირ-იქით, როცა ხმოსნები და კერძო კაცები გვაცნობებენ უწესოების ამბავს, საქმის გამოურკვევლად და ხანდისხან უსაფუძვლოთაც ვაჯარიმებთ საზოგადოებასაო (ხალხში ხარხარია).

თავმჯდომარემ შენიშნა, საქმის გამოურკვევლად ერთხელაც არ დაგვიჯარიმებიაო.

ცხარე ლაპარაკის შემდეგ საბჭომ გადასწყვიტა დაევალოს კომისიას საჩქაროდ შეიმუშაოს წესი ცხენის რკინის გზის მიმოსვლისა და წარუდგინოს ქალაქის სამმართველოს (ამ საქმის განხილვის დროს ერთს გაზეთის თანამშრომელს ჩაეძინა; არა გვგონია, რიგიანი ანგარიში წაუღოს თავის რედაქციას).

უკანასკნელად მოხსენდა ქალაქს საქმე ქალაქის ბორნის იჯარით გაცემისა. ეს ბორანი მუხრანის ქუჩის ბოლოს არის მდ. მტკვარზე გამართული, რიყის ქუჩისაკენ. უკანასკნელ სამის წლის განმავლობაში ბორანი იჯარით იყო გაცემული 11,000 მანათად წელიწადში. ეხლა-კი ვაჭრობაზედ ამდონი აღარავინ შეაძლია. ქალაქის გამგეობა ეკითხება საბჭოს, როგორ მოვიქცე, კვალად ვაჭრობა დავნიშნო თუ თვით ვაწარმოვო საქმეო.

ერთმა ხმოსანმა წარმოსთქვა, სჯობს ისევ იჯარით მისცეთ, თორემ შინაურულის წესით 5000 მანათსაც ვეღარ ავიღებთ (ხალხში განცვიფრებაა, ხმოსნები ერთმანერთს შეჰყურებენ).

ხმოსანმა მიკირტიჩიანცმა გაიხსენა, რომ ამ შვიდის წლის წინად მუხრანის ხიდის საქმე სწყდებოდა საბჭოში და სწორედ მან შემოსავალმა შეაფერხა საქმე, რადგან ზოგი ხმოსანი იმ აზრისა იყო, რომ ხიდი მაგდენ შემოსავალს არ მოგვცემსო.

გამოირკვა, რომ ბორანი შესაკეთებელია, მისასვლელი უვარგისია და სწორედ ამას გაურბიან იჯარადრებიო.

საბჭომ გადასწყვიტა ეხლავე შეუდგეს ქალაქის გამგეობა ბორნის მოწყობას და შემდეგ გასცეს იჯარით. ეხლანდელ იჯარადართან ხელშეკრულების ვადა 1 იანვარს გათავდება.

ხმოსნები წასვლას აპირებდნენ დარბაზიდგან, ამ დროს ხმოსანმა ევანგულოვმა სიტყვა ითხოვა და სთქვა: ჩვენ გადავსწყვიტეთ წარსულ კრებაზე, რომ დღეს უთუოდ განგვეხილა სარევიზიო კომისიის მოხსენება გამგეობის 1900 წლის ანგარიშის შესახებ. რად მოხდა ასე, რომ ჩვენ თითონ არ ვასრულებთ ჩვენს დადგენილებასაო.

ქალაქის მოურავმა უპასუხა: ჩვენ ისეთი საგნები განვიხილეთ, რაც უფრო საჩქაროა, და არ ვიცი ყველას სურვილი როგორ დავაკმაყოფილოვო. თუ გნებავთ და მოითმენთ, ბატონი ბრძანდები, ეგ საგანიც განვიხილოთო, ხოლო საყვედურიბ, ვგონებ, არ დამიმსახურნიაო.

— არა, არაო, დასძახეს ხმოსნებმა, და ყველა კარებისაკენ გაეშურა.

ჩვენებური ამბები

სოფ. იყალთო (თელავის მაზრა). ძალიან იყო წელს გახშირებული ქურდობა, ხალხი შეაწუხეს. ხალხმა უჩივლა შენიშნულებს მაზრის უფროსთან და ამ საქმის გამო სოფ. იყალთოში 22 მკათათვეს მოვიდა მაზრის უფროსი, მოახდინა სოფლის ყრილობა, დაადგენინა ხალხს განაჩენი, მოაწერინა ყველას შენიშნულ კაცების საქმეზე და მოაკრეფინა ფული ამ ქურდების ციმბირში გასაგზავნად. ქურდები დიდი ხანი აღარ დააყენეს და ციმბირში გაისტუმრეს. სოფელს ეგონა, ახლა-კი მოვისვენებთო, მაგრამ სულ ტყუილად. ძველის ქურდების მიერ გაწვრთნილი სხვა ქურდები მათ შემდეგ უფრო უარეს სჩადიან და აღარ ასვენებენ ხალხს. ქურდობა კვლავინდებურად გახშირებულია.

კ. ალ—ლი.

—

ს. ღულელებში (ერწო თიანეთი). საქონლის ჭირი მძვინვარებს. 50 სულამდე დაუხოცნიათ ჯერ. ახლა ამბობენ, უნდა აცრა დაუწყონო (კაი დროც არის). მთელი ერწო შეკრულია, ურმიანს არავის ატარებენ. ერწოს ბოქაული გ. იოსელიანი, რომელიც აქამდე დ. თიონეთს სცხოვრობდა, ამას იქით, ახალ მაზრის უფროსის განკარგულებით, ერწოში იცხოვრებს, რათა თვალ-ყური ეჭიროს ბოქორმის ხეობაზე. თუმცა ერწოს ერთადერთ სკოლაში სწავლა დაიწყო, მაგრამ ბავშვები არ მოჰყავთ, რადგან ჯერ მუშაობა არ გათავებულა. პურის მოსავალი სულ არ არის, არც ქერისა; ფეტვებს არა უჭირს-რა. ხალხი კახეთისკენ ეხიზნება ზამთარში გამოსაკვებად.

დროებით ერწოელი.

—

ქუთაისი. მოაღწია სეზონმა და ტფილისის ქარ. დრ. საზოგადოების გამგეობამ უკვე შეიმუშავა რეპერტუარი, ამოირჩია რეჟისორი, მიიწვია მსახიობნი და წარმოდგენებიც დაიწყო; ტფილისის სახალხო წარმოდგენების სექციამაც ამოირჩია რეჟისორი და მსახიობნიც მიიწვია; ერთი სიტყვით, ტფილისში ქართული წარმოდგენების საქმე დუღს და გადადუღს.

აქ, ქუთაისში?! არამც თუ დუღს და გადადუღს, არამედ ჰქრება და ჩანელებას აპირებს. საზოგადოდ ქართველ მსახიობთ ბედი არა აქვთ და ქუთაისის მსახიობთ ხომ სულ არა. ამ ზაფხულს ხმები დადიოდა, ტფილისის ქარ. დრამატიულმა საზოგადოებამ უნდა აიღოს ქუთაისის თეატრიო და მსახიობთა სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა: მადლობა ღმერთს, გვეშველა და პატრონი აღმოგვიჩნდაო, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას სიტყვაც არ დაუძრავს თურმე ქუთაისის თეატრზედ ეხლა ერთმანეთს შესჩივიან: რა გვეშველებაო?! ცოტათი იმედი მოგვეცა მესხიშვილის დეპეშით, რომელიც იწერებოდა: „თეატრი ჩემზედ დარჩესო“, მაგრამ აგერ გადის თითქმის თვე და არავითარი ცნობა აღარა გვაქვს *). გავა ენკენისთეც და მერე როდის შეადგენენ რეპერტუარს, როდის მოიწვევენ მსახიობთ ამასობაში გათავდება კიდეც სეზონი.

დარჩა ქუთაისი უსეზონოთ, დარჩნენ აქაურნი მსახიობნი უადგილოთ და დაიწყებს ყველა ჩვენგანი სათითაოდ წარმოდგენების მართვას, როგორც ამ ზაფხულის იმართებოდა წარმოდგენები, მაგრამ ღმერთმა დაფაროს ქართული სცენა ასეთის წარმოდგენებისაგან. რაები არ ხდებოდა წელს ქუთაისის სცენაზედ, მაგრამ როგორ გაამტყუნოთ საწყალნი მსახიობნი, როდესაც შიმშილით კუჭი ეწოდათ. რაებს არ ჰპირდებოდნენ აფიშებში, რომ როგორმე საზოგადოება შეეტყუილებინათ თეატრის დარბაზში. ვიმეორებ, თუ ასეთი წარმოდგენები გაიმართა, ხალხი, დაჩვეული ზამთრის სეზონში, წარმოდგენებს გადაეჩვევა და შემდეგში საქმის გასწორება ძალიან ძნელი იქნება.

ამიტომ, ჩემის აზრით, თუმცა შეიძლება დაგვიანებულიც იყოს, მაგრამ ისეთი გამგეობის წევრნი, როგორნიც ახლა ჰყავს დრამატიულ საზოგადოებას, თუ მოიხომებენ ქუთაისის სცენის ფეხზედ დაყენებას, მსახიობთ, რომლებიც დღეს გზა-აბნეულნი არიან, საშუალება მისცემს სამუდამოდ ქუთაისის საზოგადოების გულსალოიგებს. დარწმუნებული ვარ და გამოცდილებითაც ვიცი, რომ ქუთაისის თეატრი მოგებას მისცემს გამგეობას და არ ზარალს. დასი მეტად იაფათ დაუჯ-

---

*) ვლ. ალექს-მესხიშვილი ამ ჟამად უკვე ტფილისშია.

რედ.

ფელეტონი

სალიტერატურო პრემია „შურდულის“ რედაქციისა.

მე, ქვემორე ხელის მომწერი რედაქტორ-გამომცემელი ი. ერაძე და „შურდულის“ მიერ დანაჩენნი ძმანი ჩემნი ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ პრემიად მიეცემა „ლექსები და პოემები“ ი. ევდოშვილისა, მეორედ შევსებული გამოცემა ავტორის სურათით იმ კრიტიკოსს, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო თხზულებას შემდეგი თემისას:

ესთეტიურ-ფსიხოლოგიური განხილვა და დასაბუთება იმ პოეტურ სურათებისა, რომელნიც თბოლ მარგალიტებად მიჯრით მიწყობილია პირველ სამ ტაეპში ბ-ნ ევდოშვილის ლექსისაში «ვუძღვნი დებს». (იხ, „ცნობ. ფურც.“ დამატება № 152, 18 სეკდემბრის 1903 წ.).

მკითხველს რომ გაუადვილდეს მასალის შემოკრება, აქვე ვაცხადებთ ზემოხსენებულ ტაეპებს:

ცრემლი მხოლოდ მაშინ მინდა, etc. (პირველი სამი ტაეპი).

ღირს არს ჭეშმარიტად, რადა აღვნიშნოთ, რომ პირველი ტაეპი, როგორც მთავარი მარგალიტი პოეტურის შემოქმედებისა, გამეორებულია ლექსის დამაგვირგვინებელ ტაეპადაც.

შენიშვნა პრემიის მიმცემ კომისიისა.

პრემია არ მიეცემათ იმ პირთ, რომელნიც გარეშე ქვემოდ მოტანილ განხილვისა არ წარმოადგენენ სხვა რამ ახალ მოსაზრება-დასაბუთებას

დავიწყოთ თავიდან.

„ცრემლი მხოლოდ მაშინ მინდა,
გულს ფოლადად ჩაეკვესოს“..

ცრემლი რომ უნდოდეს ბ-ნ ევდოშვილს, ვის რა დავა აქვს, კაცია და გუნებაო! მაგრამ ფოლადი აჭირებს საქმეს. რა აქვთ საერთო ცრემლსა და ფოლადს? პირველია სითხე, მეორე-კი მაგარი სხეული და ძალიან მაგარიც. ჯერ სიტყვიერების თეორიას არ გაუგონია ამგვარი მსგავსება-შედარება, და თუ არ დაიშლით და აღმოაჩენთ რაიმე საერთოს ცრემლსა და ფოლადს შორის, მაშინ ხომ შეიძლება პანაშვიდიც შევუდაროთ ურმის ჭინჭილაქსა!

ფოლადმაც თქვენი ჭირი წაიღოს, მაგრამ ეს „ცრემლი გულს ჩაეკვესოსო“ რაღა სურათია? ეს ხომ პოეტ სვიმონ ქვარიანის „ბულბულის სლოკინი“ გამოვა, და თუ გნებავთ, ზედმეტიც! ჰმ! ჩაეკვესოს?! როგორ? სითხე და ისიც იმისთანა სითხე, როგორიც ცრემლია, ჩაეკვესოს ე. ი. ნაპერწკლები გამოჰყაროს!?

არ ვიცი, დედა არ მომიკვდება, რა სასწაულებრივი მეტამორფოზა უნდა მოხდეს, რომ ცრემლმა ნაპერწკლები გამოჰყაროს! მართალია, კვესს შეუძლიან ცეცხლი გამოიღოს, მხოლოდ იმისთანა ნამდვილ ბუნებრივ პირობების დროს, როგორც დასურათებულია მოხევეთა ხალხურ ლექსში:

„კვესო, შენ ცეცხლსა მიაყრი,—
და ნუ იფეთქებს ფალიას?!.“

ევდოშვილისთანა პოეტების საყურადღებოდ, რომ გამოვთარგმნოთ ეს ხალხური დასურათება, უნდა ვსთქვათ, რომ კვესს ჩამოჰკრავს ჩახმახის ტალი, გამოჰყრის ნაპერწკლებს და ნაპერწკალი კიდევ აფეთქებს ფალიას, რომელიც დაყრილია თოფის დუმაზე. ევდოშვილის წარმოდგენაში-კი აყირავებულთა ბუნება ნაპერწკალის გამომღებ ფაქტორებისა; თუ ცრემლი კვესად მიაჩნია და ფოლადი ტალად (არ დაივიწყოთ, რომ კვესიც ფოლადისაა ხოლმე!), მაშინ გულს დუმობა-ღა დაჰრჩენია, რომელზედაც უნდა ფალია ეყაროს.

მართალია, ბევრის შემძლებელთა ცრემლი, გვესმის მისი დიადი ძალაც, და ამიტომ დიდებულია პოეტური თქმა ლერმონტოვისა, როდესაც ამბობს, რომ დემონის ცრემლმა ქვა გახვრიტაო, მაგრამ ის ლერმონტოვი იყო და ჩვენი დღეების მეძღვნე პოეტი-კი ევდოშვილია. თორემ რა სათქმელია, რომ ჩასაკვესებლად, ნაპერწკლის გამოსაყრელად, ფალიის ასაფეთქებლად კაცმა ცრემლი იხმაროს! ცრემლი არამც თუ არ ჩაეკვესება და ცეცხლს ვერ მიაყრის, პირიქით დაასველებს და აატალახებს კიდეც ფალიასა! მაშ, რად ინება ბ-ნმა ევდოშვილმა ჩვენთა დედათა გულების ატალახება, და ისიც შვილების გამოზრდაში, —ალლაბილურ!

შვილების გამოზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს დედის ცრემლს, და თუ ჩვენი პოეტი ვერ მიჰხვდა და ვერ დასურათა ცრემლის დანიშნულება, მას მაინც ურჩევდა ჩვენს დედებს, რომ თქვენი შვილები გაჰბანეთ და, თუ გნებავთ, აჭყუპალავეთ კიდეც ჩემს ცრემლეში: რასაკვირველია, როცა გარემოება მოითხოვდესო. მაგრამ თქვენგან არ მიკვირს, აბა, ამას რად იზამდა? იმას უნდა, რომ ცრემლი მაინცა და მაინც ჩააკვესოს რას იზამ, ესეთია ჟინიან პოეტის პოეტური პოეზია!

„გრდემლად მივსცე იგი ჩემს შვილს,
რომ ნაღველში გამოლესოს“-ო,

ბრძანებს პოეტი და იმისი თქმა-კი უნდა, რომ ჩემმა შვილმა ჩემი ცრემლი ნაღველში გახსნას, ან ნაღველი ჩემს ცრემლშიო. მაგრამ, აბა, ჩაუკვირდით, რა შეუსაბამოდ არის შეხამებული ეს პოეტური სურათი! ცრემლი მხოლოდ მაშინ მინდა, რომ გრდემლად მივსცე ჩემს შვილსაო. აქ ძაღლის თავი იმ გარემოებაშია ჩაფლული, რომ შეწყობილია ერთად ცრემლი და გრდემლი. მერე მითომ რაო? მე შენ გითხრა, არ არის მსგავსება თუ ამ ორ სიტყვას შორის! ჯერ ერთი მარცვალთა და ბგერათა მიხედვით სარითმოდ ერთი-ერთმანეთს არ დაუვარდებიან, ერთიც ორმარცვლოვანია და მეორეც, პირველის ოთხი უკანასკნელი ბგერაც ენ, მას, ლას, ინია და მეორისაც, და მეორეც ისა, რომ ზედ სართიც მეტია, რადგან ორივე სიტყვას თან ახლავს ძგერა რაე. მალე მტერი მოგიკვდეს მალე ამ ორ სიტყვას სარითმოდ გამოიყენებდა დახელოვნებული ლექსე, მაგრამ ევდოშვილი სულ სხვა ჯურის მგოსანია. აქაო და ეს ორი სიტყვა გარეგანის მხრივ ესე თანხმობით სუფევენო, ადგა, არც აცივა, არც აცხელა და ამ ორ ცნებას ბუნების ერთი და იგივეობაც დაულოცა.

ზემოდაც მოგახსენეთ, რომ ცნება „ცრემლი“ სითხეა და გრდემლი ხომ ისეთი მაგარი სხეულია, რომელზედაც იჭედება თვით რკინა და ფოლადიც. მაშ როგორ შეიძლება, რომ ცრემლმა გრდემლობა გასწიოს, ან პირიქით გრდემლმა ცრემლობა კარგი ზეინკალ-მჭედლები-კი გამოვლენ ის შვილები, რომლებსაც ევდოშვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება, ტფილისიდგან მოაშველებს ზოგიერთ მსახიობს და საქმე კარგად წავა. ჩვენთა მსახიობთა შორის ბევრნი ურევიან ისეთნი, რომელთაც ნიჭიც აქვთ და უნარიც, მაგრამ რა ჰქნან, როდესაც საქმის მოთავე და პატრონი არა ჰყავთ? უპატრონოდ დატოვება ამ თი ცოდვაა. კიდევ კარგი, თუ მესხიშვილი ჩამოვიდა და ხელი მოჰკიდა აქაურ თეატრს. თუ არა და მაშინ შაბაშ, ქუთაისის ქართულო სცენავ, მერე რა შრომით და ტანჯვით დაარსებულო!

ჩვენ, მსახიობთ, თუ არა გვყავს პატრონი, არც აქაური ნოქრები არიან ჩვენზედ წინ წასულნი. ჩვენ დრ. საზ. იმედი მაინცა გვაქვს და საწყალ ნოქრებს ღმერთის მეტი მფარველი ქრისტიანი კაცი არა ჰყავთ. თხოვნა და ვედრება თავიანთ ადებთან არ გაუვიდათ და ისევ ძალას მიჰმართეს: მიანებეს თავი ჩასუქებულ ადებს და წავიდნენ მაღაზიებიდგან, მაგრამ არ გეგონოთ ჩხუბითა და ლანძღვა-გინებითა, არა, მეტის მეტად ზრდილობიანად და თავდაჭერით მოქმედებენ. „ადები“ გულს მაინც არ იტეხენ და ამაყად გაიძახიან: „არ გვინდიხართ, მიბრძანდითო“. საღამოს-კი, დახლში რომ ჩაიხედავენ, ცხვირს ჩამოუშვებენ, ამოიოხრებენ და გაიძახიან: „დღეს ჩემი დახლი ასე ცარიელი უნდა იყოსო?“ აგერ ხუთი დღე გადის და თითო ვაჭარს დღეში ათიდამ ოც თუმნამდის ზარალი აქვს, მაგრამ მაინც თავიანთ სიჯიუტეს არ იშლიან. ორი და სამი ვაჭარი რომ დასთანხმდა ნოქრებს პირობაზე, დანარჩენები მისივნენ,—თქვენა ხართ „ბუნტოვჩიკებიო“; ბოლოს, როდესაც ბ-ნმა ადებმა თავიანთ მაღაზიებში თავისავე საქონელს ვეღარ მიაგნეს და დახლიც თანდათან შესუსტდა, გამართეს კრება, მოილაპარაკეს და, როგორც ამბობენ, კვირა-უქმე დღეებში მთელი დღე დაიკეტება მაღაზიები და დანარჩენ დღეებში ზაფხულობით, დილის 7 საათიდგან საღამოს 9 საათამდე, ხოლო ზამთრობით-კი დილის 8 საათ. საღამოს 8 საათამდე, მაგრამ შეასრულებენ კი ამ პირობას? არა მგონი! ჩვენი ადები თავისას მაინც არ დაიშლიან. როგორც ამბობენ, ნოქრების პირობა მიიღეს მხოლოდ შემდეგმა ვაჭრებმა: ს. ფეიქაროვმა, ოცხელმა, გოკიელოვმა და ჯანელიძემ. დანარჩენნი ძალიან ცხვირ-ჩამოშვებულნი არიან. ღმერთმა ჰქნას, დანარჩენ ვაჭრებსაც მიებაძოთ და საწყალ ნოქრებს, რომლებიც დილიდამ საღამომდის ფეხზედ დგანან, მიეცეთ საშუალება დასვენებისა და წმინდა ჰაერზე გამოსვლისა. ვუსურვებ გამარჯვებას ქუთ. ნოქრებს იმისათვის, რომ სიყმაწვილემ ისინი არ გაიტაცა და ასე წესიერად და ზრდილობიანად მოიქცნენ მთავრობისა და ფავიანთ ადების წინაშე.

რამდენადაც ჩვენი ნოქრების სიდინჯემ გამახარა, იმდენად ამასწინდელ გაზეთ „ახალ მიმოხ.“ № 6499-ში დაბეჭდილმა ამბავმა გამაოცა და გამაკვირვა. ნუ თუ შეიძლება კაცის ისე გათახსირება და ცილისწამება, როგორც „ახალ მიმოხ.“-ში დაბეჭდილი ცილის წამებაა ექიმის გომართელის შესახებ?! მე პირადათ არავითარი ცნობა და მეგობრობა გომართელთან არა მაქვს, ვიცნობდი შორიდამ და გამეგონა მხოლოდ ექიმი გომართელი, წამიკითხავს მისი წერილები. ამ დღეებში მომეცა შემთხვევა მისი გაცნობისა. ვიღაც (გვარს არ აწერს) „ახალ მიმ.“-ში სწერს: „ვიღაც ახალმა ექიმმა გომართელმა თავის „რეკლამებით“ ისეთნაირად მიიზიდა ავადმყოფები, რომ თითქოს რაიმე სასწაულს ახდენდეს და გამოჩენილი „ხირურგი“ იყოსო. ყოველ ექიმს შეუძლიან ისეთი ოპერაციები, როგორც მუცლიდამ წყლის გამოშვება და სხვა“. რა საჭიროა ასეთი ცილის წამება და პატიოსანი ადამიანის დამცირება? ერთი რომ გომართელს არავითარი განცხადება არც ერთ გაზეთში არ დაუბეჭდია როგორც ზოგი ექიმები სჩადიან ქუთაისში, მას არც კი გამოუცხადებია ამა და ამ ქუჩაზე ვდგევარო. გვიკვირდა კიდეც,—რისთვის არ აცხადებსო. არავითარ სასწაულებს ის არ ახდენს. მისი ღირსება მხოლოდ ის არის, რომ რა დროსაც გნებავთ დაუზარებლივ წაიყვანთ, ავადმყოფებს ერთგულად და ბეჯითად შინჯავს და „ვიზიტში“ იღებს 50 კაპ., ღარიბებისაგან სულაც არას იღებს. სხვასავით კარებზე არა აქვს მიწერილი: „ვიზიტი ღირს 2 მანეთიო“. დარწმუნებული ვარ ზოგიერთი და მეტადრე „ახალ მიმ.“-ში დაბეჭდილი წერილის ავტორი, იტყვის: ეს რა „ადვოკატი“ გამოსჩენია გომართელსაო, მაგრამ დავამტკიცებ, რომ სიმართლის მომხრე ვარ და მხოლოდ სიმართლე მალაპარაკებს. ვინ არ მიხვდება, რომ ის წერილი სიშურით, პირადობით არის დაწერილი. ჩემის აზრით, დარბაისელი გაზეთი ძალიან ფრთხილად უნდა იყვეს და არ უჯირებდეს ვიგინდარებს და არა სცხებდეს ლაქს პატიოსანს ადამიანს.

ღმერთმა ყველას მშვიდობა მისცეს, მხოლოდ მე მაინც ისევ ჩვენის სცენის დაობლება მაწუხებს.

ქუთ. ქართულ თეატრის მსახიობი ვასო ბალანჩივაძე.

რუსეთი

აქამომდე წესად იყო, რომ ვინც შუათანა სასწავლებელს გაათავებდა და უმაღლეს სასწავლებელში წავიდოდა, ს სწავლებლის მთავრობას უნდა გაეგზავნა უმაღლესს სასწავლებელში საიდუმლოდ ყოველივე ამბავი მის ყოფა-ქცევის შესახებ. ახლა ეს წესი გაუქმდება და უმაღლეს სასწავლებელს გაეგზავნება მხოლოდ სია იმ დანაშაულისა, რომელიც შეგირდს მოუქმედნია სამის უკანასკნელის წლის განმავლობაში და რა სასჯელით დაუსჯია მისთვის სასწავლებელს საპედაგოგიო საბჭოს გარდაწყვეტით.

— შარშან წესად შემოიღეს საშუალო სასწავლებლების მოსწავლენი დაეთხოვათ ხოლმე ხანდისხან თითო დღით და წაეყვანათ ექსკურსიად, მუზეის დასათვალიერებლად და სხვ. ახლა სამინისტრო შეეკითხა სასწავლებლებს, როგორი რა გამოდგა ეგ წესიო და კვლავისათვისაც დარჩეს თუ არაო. პასუხები ისეთი მიუღია სამინისტროს, რომ ეგ წესი საკვლავიოდაც დარჩება. მხოლოდ წელიწადში შვიდს დღეს დაითხოვენ შეგირდებს იმ ხანებში, როცა უქმეები არ არის და ატარებენ ექსკურსიაზედ და სხ. უნდა დარჩეს ეს შემოღება იმიტომ, რომ შეგირდების ჯანმრთელობისთვისაც მარგებელია და გონებრივაც ძალიან კარგად ჰმოქმედობსო.

— ფინანსთა სამინისტროს განუზრახავს შეადგინოს პროექტი იმისი, რომ თვით სახელმწიფომ იკისროს დაზღვევა ადამიანთა სიცოცხლისა სახელმწიფო შემნახველ კასების შემწეობით. დამზღვევნი მონაწილენი იქნებიან მოგებაშიაც. ამას გარდა, სხვა შეღავათიც ექმნებათ.

— ვიღაც მურაკინას კალუგის გუბერნიაში ხელობად გადუქცევია ბავშვების აყვანა საძიძურად და აღსაზრდელად და ხოცვა მათი. ხშირად სწერდა დედ-მამას, თქვენმა შვილმა ლაპარაკი დაიწყო, ფეხი აიდგაო მაშინ, როდესაც იგი უკვე დიდიხნის მკვდარი იყო. დაინიშნა გამოძიება. ამოიღეს გვამი 13 ბავშვისა, გასჭრეს და ყველას შხამი აღმოაჩნდა სტომაქში. მურაკინა ჰხოცავდა თურმე ბავშვებს.

— ფინანსთა სამინისტრომ გადასდო სამერმისოდ 2 მილიონი მანათი სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათათვის.

— ს. პეტერბურგის სასულიერო აკადემია სახლებს აშენებს პროფესორებისათვის. მამულს აძლევს ალექსანდრე-ნეველის მონასტერი, ხოლო ფულს—სასულიერო უწყება.

— პეტერბურგის მემამულეებზედ წელს დარჩენილი დასაფასებელი გარდასახადი 1.035,000 მან. ეს შესძლენა ქალაქს დაფასების მომატებამ.

— რუსეთშიაც უნდათ შემოიღონ ელექტრონის ძალით მატარებლების სიარული რკინის გზებზედ.

უცხოეთი

ოსმალეთი. ხონთქარი მოუწვევია გერმანიის იმპერატორს, ბერლინში მნახეო.—ალბანიაში მოსალოდნელია საერთო აჯანყება. მომზადებული აქვთ მხოლოდ თოფები, თოფის წამალი და უფრო დინამიტი. ჯერ ალბანელნი თხოულობენ ავტონომიას და გუბერნატორს ქრისტეანეთაგან. ბოლოსა და ბოლოს იმათი გულის ნადები ის არის, რომ საბერძნეთს შეუერთდნენ.

— ამბობენ, რომ ხონთქარმა სთხოვა გერმანიის იმპერატორს,—მირჩიეთ, რა ღონისძიება მივიღოთ მაკედონიაში მშვიდობიანობის დასამყარებლადაო. ხონთქარი არ არის წინაამღდეგი, რომ მაკედონიას ავტონომია ჰქონიყოს.

— მაკედონიის კომიტეტების პრეზიდენტს ქრისტო ტატარჩევს უთქვამს, რომ ჩვენ არავითარს ყურადღებას არ ვაქცევთ ოსმალეთისა და ბულგარიის მოლაპარაკებას. მაგ მოლაპარაკებით ოსმალეთს უნდა დრო მოიგოს და სულ ამოსწყვიტოს ამ ხნის განმავლობაში მაკედონელნიო.

ბულგარია. მზად არის თუ არა ბულგარია ამ ჟამად ოსმალეთთან ომისათვის? მცოდნე კაცნი ამბობენ, რომ სრულიად მზად არის და დიდი იმედიცა აქვს, რომ გამარჯვებული გამოვა ამ ომიდანაო. ბულგარიას უკვე დაუმთავრებია თავისის მხედრობის შეიარაღება; რაც-კი რამ შეკვეთილი ჰქონია მხედრობისათვის საზღვარ-გარედ, ყოველივე მიუღია. მცირე რამ არის დარჩენილი, მაგრამ ის მერეც შეიძლება მივიღოთ,—ჯერჯერობით საჭირო არ არისო. ოსმალეთს ჰყავს,—თუ აზიის სამფლობელოებს არ ვიანგარიშებთ, სამასი ათასი ჯარის კაცი. ამათ შორის ჩვენს საზღვრებზე 60,000-ია მხოლოდ. ჩვენკი 96,000 კაცი გვყავს საომარ ფეხზე დაყენებული. გვაქვს 100,000 თოფი მანლიხერისა და 50,000 ბერდანისა. 10 მილიონი პატრონიც უკვე მივიღეთ. 100,000 კაცს კიდევ საომრად 24 საათში მოვამზადებთ. მაკედონიის აჯანყებულნი წინ გაგვიძღვებიან. ბილიკებით გადავივლით მთებს იმათის შემწეობით. თუ დავახანეთ, ბევრს წავაგებთ. ოსმალეთი შეჰკრებს აზიიდან ჯარებს და მაშინ ძნელი იქნება ბრძოლა. ან როცა მაკედონელთ ამოსწყვეტენ, რისთვის-ღა უნდა ვიომოთ. ჯარი მზად არის, აღფრთოვანებულია და ომს მოწყურებული, და დაყოვნება სრულიად არას გვარგებსო.

ნარკვევი

გაზ. „რუსკ. ვედ.“-ში დაბეჭდილია წერილი პროფ. ფედოროვისა. ფედოროვი ეხება ისეთს საგანს, როგორიც არის დღეს „მოდად“ გადაქცეული ჩივილი რუსეთში კარგი პროფესორები არა გვყავსო. ფედოროვი ამბობს, რომ ამ საქმეში მცირედი გავლენა არა აქვს ნათესაობას, ნათლი-მამობასაო. 25 წელიწადი ვისახურე და ვიბრძოლე, რომ შეეწყნარებინათ ჩემი სამეცნიერო მუშაობა, მაგრამ არა მეშველა-რა. მუდამ უარყოფილი ვიყავ. დავანებე თავი უნივერსიტეტს, პრაქტიკული სამსახური ამოვირჩიე და ბოლოს მივმართე დასავლეთს. აქ, სამშობლოში, უარყოფილმა სამეცნიერო შრომამ იქ ქება გამოიწვია, მწერლობა თანაგრძნობით მიეგება ჩვენს ნამუშევარსაო.

მეცნიერებაო,—ამბობს დასასრულ წერილის ავტორი,—მცენარეა, რომელიც სასიამოვნოდ არ განვითარდება დახშულ ჰაერში, იმისთანა ჰაერში, რომელსაც არ ათბობს სხივი სიყვარულისა სამშობლოსა და ჭეშმარიტებისადმი, რომელსაც დაუბრკოლებლივ არ უბერავს თავისუფალი ქარი დამოუკიდებლის სიტყვისა და მსჯელობისა. ვიდრე დღევანდელი ვითარება არსებობს, იმედიც არ უნდა გვქონდეს, რომ სამშობლო ნიადაგზედ გაიხაროს მეცნიერებამ.

თეატრი და ხელოვნება

რუსული ოპერა. ჯერ-ჯერობით რუსულ ოპერის გვირგვინათ უნდა ორკესტრი ჩაითვალოს, იტალიელ დირიჟორის ესპოზიტოს ხელმძღვანელობით მომქმედი. გუნდი დამკვრელთა ძალიან დიდი როდია, მაგრამ მწყობრად ასრულებს თავის მოვალეობას. ესპოზიტო ხელოვანი მუსიკოსია, გაბედულის ხელით უჭერს სადირიჟორო ჯოხს, რომელსაც თითოეული ორკესტრანტი ემორჩილება. «პიკოვაია დამას“ ტრაგიკული მომენტები ძლიერის გამომეტყველებით აღნიშნა ბ. ესპოზიტომ, განსაკუთრებით იმ სცენაში, როდესაც გერმანს გრაფინიას აჩრდილი ელანდება. სხვათა შორის, აღსანიშნავია აგრეთვე თვალნათლივი გადმოცემა ორკესტრის მიერ ამ ადგილისა, როცა ბებერ გრაფინიას მოიტაცებს ოცნება წარსულის შესახებ. ამ ადგილას ორკესტრი თითქოს ლაპარაკობდა.

საზოგადოდ ფიგნერის საოპერო დასის უმთავრესი თვისება საერთო წყობილება, ანსამბლია, რომელსაც არ არღვევს არავითარი მოულოდნელი უხერხულება. მომღერალთა შორის «პიკოვაია დამა-ში“ უპირატესობა ქ-ნ სელიუგრონსტოვსკაიას უნდა მიენიჭოს. იგი მღეროდა მოხუც გრაფინიას პარტიას და უნდა ვთქვათ, რომ ამისთანა აღმსრულებელი ამ პარტიისა ჯერ არ გვინახავს. როგორც ხმაში, ისე მთელ მის გამომეტყველებაში მოსჩანდა რაღაც შემაძრწუნებელი საიდუმლოება. ფრანგული რომანსი ისეთის მიმკვდარებულის, მიბნედილის ხმით იმღერა, რომ თვალწინ წარმოგვიდგა დავარდნილი ადამიანი, რომელსაც სიკვდილი ჩაბღაუჭებია, მაგრამ იგი თავისის უღმერთობით სიცოცხლეს, მაინც სიცოცხლეს ეპოტინება.

ქ-ნ რედინას (ლიზა) ნამდვილის მსახიობის სული და გული აქვს მომადლებული, მაგრამ მისს ხმას ცრაგობის, გაცრეცილობის დაღი აზის და ამის გამო ტანჯვა-ვაების გადმოცემის დროს ძლიერად როდი მეტყველობს იგი.

ბ-ნი დარსკი, რომელიც გერმანის პარტიას მღეროდა, ახალგაზდა მსახიობი უნდა იყოს, თუმცა სცენაზედ თავისუფლად მოქმედებს. ხმის შესახებ ჯერ-ჯერობით გამორკვეულად არა ითქმის-რა, რადგანაც პირველი გამოსვლა უცხო საზოგადოების წინაშე, რასა თქმა უნდა, შეაკრთობდა. დაბალ ფარდებში ხმა წმინდა და მკვეთრი არა აქვს. მაღალ ფარდებში, თუმცა აღწევს განსაზღვრულ წერტილამდე, მაგრამ ძლიერს ხმოვანებას ვერ იჩენს და ამის გამო ორკესტრის ხმაურობაში იკარგება, განსაკუთრებით ტრაგიკულ მომენტების დროს. სამაგიეროდ მშვენიერი გამომეტყველი «პიანისიმო» აქვს და ამის გამო ხელოვნურად იმღერა გრძნობით აღსავსე ჰანგით «მისი სახელი არ ვიცი».

ბ-ნს ევლახოვს (ელეცკი) სასიამოვნო ხმა აქვს ლირიკულ ბარიტონის ტემბრისა, გრძნობით ნათქვამი «მე თქვენ მიყვარხართ» საზოგადოებამ გაამეორებინა. საკმარისია ბ-ნმა ევლახოვმა აიცილოს ის გაუბედაობა, რომელიც მას ეტყობოდა ელეცკის პარტიაში, რომ თვალსაჩინო არტისტი შეიქმნეს.

ბ-ნი გლადკოვი კარგი რამ იყო ტომსკის პარტიაში, ლამაზად და მოხდენილად დაამღერა ლოთი ვაშური ჰანგი: «ტურფა ქალნი რომ ფრინავდნენ», რომელიც გაამეორებინეს.

საზოგადოდ «პიკოვაია დამამ» კარგი შთაბეჭდილება იქონია მსმენელებზედ, განსაკუთრებით მეორე მოქმედების დუეტმა: «უკვე შებინდდა».

სასამართლოს მატიანე

სისხლის აღება.

სვანეთში, სოფელ ლატალს 1873 წელს, ამ სოფლის მცხოვრებს ბეკმურზა გვირგვილიანს მოუკლავს მეზობელი შავლას ფარუჯიანი. ამ დროს შავლახის ცოლი მძიმედ ყოფილა ნესტორ ფარუჯიანზე. გავიდა ამ მკვლელობის შემდეგ ათი—ოცი წელიწადი და შავლახას შვილი ნესტორ ფარუჯიანიც დავაჟკაცდა. პატარაობიდგანვე ფარუჯიანს მა-

---

ლის რჩევით ჩვენი დედები გრდემლის მაგიერ ცრემლის გუბეს დაუყენებენ წინა!

ნუ თუ აქამდე ხალხური გამოცანა მაინც არ გაუგონია, „დავკარ ხმალი, არ დააჩნდა კვალიო“? ეს წყალზედ არის ნათქვამი და თუ მჭრელი ხმალიც-კი ვერაფერს აწყობს წყალთან, რა უნდა ქნას ბლაგვმა ჩაქუჩმა, ათასიც რომ ურახუნო! ეს ხალხური გამოცანაც რო არ გვეხსენოს, ისედაც კარგად მოგეხსენებათ, რომ წყალის ნაყვა მხოლოდ ბრიყვთა ხელობაა!

ბ-ნ ევდოშვილს ხომ თავისი თავი მუშა-ხელოსანთა ავან-ჩავანად მიაჩნია და, აბა, ერთი ბრძანოს, რომელ სამჭედურში უნახავს თავისი პატიოსანი თვალითა, რომ გრდემლი ცრემლისა იყოს? თუ არ დაიშლის და დაიჟინებს, ჩვენც ნუ ავუხირდებით და რაც მაგან ცრემლის გრდემლზედ სახნის-საკვეთი გამოკვეროს, დეე იმ გუთნით მოყვანილ პურს ჩვენ ნულარ გვაჭმევს!

ცრემლი გრდემლად მივცეო.

ეგ რო ძველ მწერლებს ეთქვათ, მაშინა ნახავდით, რა ალიაქოთი ატყდებოდა ჩვენ სალიტერატურო კრიტიკოსთა შორის! ხომ გახსოვთ, ზოგიერთ მკვლევარმა რა დღე დააყენა „ვეფხის ტყაოსნის“ მეხუთე ტაეპს, სადაც ნათქვამია, რომ გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისაო. ან ტყვის გრდემლი ვის გაუგია, ან იმისაგან მაგარი ქვის გატეხაო?! ადგნენ და თქვენი ჭირი წაალებინეს ამ ტაეპს, ყალბის მქნელს მიაკუთვნეს და თქვენი მოწონებული პანდური ჰკრეს „ვეფხის ტყაოსანს“ ტაეპთა საპატიო რიცხვიდგან. არა, შოთას რომ ღმერთი გასწყრომოდა და ევდოშვილის წარმოდგენისამებრ ეთქვა ცრემლის გრდემლიო, მაშინ ხომ დავილუპებოდით და ყალბის მქნელთა აღმომჩენი მკვლევარნი იტყოდნენ, რას კადასცემს, რას მიედმოედებაო! ახადაც იტყოდნენ, მე და ჩემმა ღმერთმა!

თუნდ ანგარიშშიაც რომ არ ჩავაგდოთ ცრემლის სითხე და გრდემლის მაგარ-სხეულობა,—ნეტა ვიციოდე ცრემლმა როგორ უნდა მიიღოს თავის-თავად ფორმა გრდემლისა! ფიზიკაში სწერია რომ სითხეს არა აქვს ფორმაო. ფორმას აძლევს მხოლოდ ჭურჭელი, და ეხლა თქვენ გამოიცანით, თუ რომელი ჯურის ჭურჭელს წარმოადგენს გრდემლი. ვსთქვათ, გრდემლიც ჭურჭელია, „მაგრამ გრდემლი ნაღველში გამოლესოსო“, ეს რაღა არის?! ზემოდაც მოგახსენეთ, რომ ევდოშვილი სიტყვას: „მოლესოს“ პოეტურადა ხმარობს ნაცვლად სიტყვისა „გახსნას“, მხოლოდ ნაღველში როგორ უნდა გაიხსნას გრდემლად ქცეული ცრემლი ან ცრემლის გრდემლი, მაგის შესახებ საანალიზო ქიმიაში ჯერ არავითარი კანონი არ არის დამყარებული და ლაბორატორიასაც არ განუცდია ჯერ არც ერთი მსგავსი მაგალითი. თუ არა და, სადაური თქმა არის ეს „გამოლესოსო?“ „გამოლესოს რა, თქვენი ცრემლები გაჯია, მურდასანგია, თუ რა არის?!

მეორე ტაეპში პოეტი ბრძანებს, ნაღველი კი მხოლოდ მისთვის მინდაო, რომ მიტიროს მაინც გულიო. ჰო და, ვის რა დავა აქვს?!

ხომ გახსოვთ ხალხური ანდაზა, ღრმა იუმორი: საბძელი რომ გეწვოდეს, ხელი მოითბეო. ბ-ნ ევდოშვილსაც ხომ უიმისოდაც უტირის გული, და მოდი ხელს ნუ შევუშლით, და ნაღველსაც გაისიოს, რამდენიც ექეიფებოდეს. ჩვენ რჩევას ხომ არ გაიგონებს, და ამიტომ თავი დავანებოთ მეორე ტაეპსაც.

საქმე მესამე ტაეპია!

ცრემლის მფრქვეველი პოეტი შვილს ურჩევს, ჩემი ცრემლი ფიალად მოიხმარეო. კიდევ! კაცო, აქამდე რას ჩაგჩინებდი? გაიგე, რომ სითხე ფორმად არ გამოდგება, თუნდ ეს სითხე შენიც იყოს. სად გაგონილა, რომ სითხე (იგულისხმე თუნდ ევდოშვილის ცრემლი!) კაცმა ფიალად ე. ი. ჭურჭლად მოიხმაროს? ან ხელის მოვლება არ უნდა, ან პირთან მიტანა, ან გამოწრუპვა?! ვერ გამიგია, მე და ჩემმა ღმერთმა! აბაიმე, ან რას ჩააცვდა ამ საბრალო ცრემლსა? საცოდავი ცრემლი! ჯერ იყო და კვერად მოიმარჯვა, მერე ფიალადაც აქცია და მესამედ კიდევ გრდემლად უანდერძა ჩვენის დედების შვილებს. სამების ძალზე ამ სამ მეტამორფოზას მაინც აკმარებდა! მაგრამ, არა, მეოთხედაცა სტანჯავს, გინდა თუ არა, ფიალადაც უნდა მოვახმარო ჩემ შვილებსაო. ახირებულია, თქვენმა მზემ! ღმერთმა მშვიდობა-კი მისცეს ამ ცრემლსა და კაი ვირის მოთმენა-კი ჰქონია, თუ თქვენცა ბრძანებთ!

ახ, ეხლა ერთი ცრემლი ვიყო! ვეტყოდი: კაცო, მომწყდი თავიდან და მომასვენე, არც შენი კვერობა მინდა და არც შენი შვილის ფიალობა, თუნდ ოქროს ფიალადაც მაქციო-მეთქი...

მაგრამ ეჰ! ამას ვინ მათქმევინებს? სად მე და სად ევდოშვილის ცრემლობა!

იქნება, ვინმე ცილი დაგვწამოს და ბრძანოს, ძალიან სასტიკად ეპყრობით მგოსანს და აინუნში არ მოგაქვთ ლიცენცია პოეტიკაო ე. ი. პოეტური თავისუფლებაო. მაგრამ სცდებით, ბატონებო! ჩვენ ეგ პოეტების საშეღავათო ხვრელიც ვიქონიეთ გუნებაში. პოეტური თავისუფლება ანუ ლიცენცია პოეტიკა გაგვიგონია ლექსთა-წყობაში, რითმისათვის სიტყვების შეცვლა-შეთხზვაში, მხოლოდ ლიცენცია ლოგიკასა, ფსიხიკასა და საზოგადოდ ჭკვის სამთავროში შეუწყნარებელია. ეს რომ სათვალავში არ ჩავაგდოთ, მაშინ ხომ ევდოშვილი გადაჰრევს თავის შვილს, რომლის შესახებაც მეორე ტაეპში ამბობს:

„მშობელი ვარ, კიდეც ვიცი
ჩემი პირმშოს სიყვარულიო“?

აი, კარგი მაგ თქვენ ლიცენციას მოუვა, კარგი პირმშო ევდოშვილს გამოეზრდება!

ვადა თხზულებათა წარმოდგენისა. თხზულებანი ზემოხსენებულ თემას შესახებ მიიღება იმ დრომდე, ვიდრე მგოსან ევდოშვილის ცრემლი იკვესებს, იფოლადებს, მერე გრდემლად გახდება და ბოლოს ოქროს ფიალად ან კახურ კულად გადაიქცევა. დასტური და კომპეტენცია ეკუთვნის, რასაკვირველია, სხვა-და-სხვა მეცნიერებას: ერთის მხრივ ესთეტიკა-ფსიხოლოგიამ უნდა შეიწყნაროს ზემოხსენებული სიტყვა-კაზმული დასურათება და მეორეს მხრივ ქიმია-ფიზიკამ უნდა სახელმძღვანელოებში შეიტანოს უკვე დამყარებული კანონი აღნიშნულ ცრემლის საარაკო ცვალებადობისა,

რადგან „შურდულის“ რედაქტორმა ია ერაძემ და რედაქციის მიერ ძმათა მისთა ქ. ვენაში წაიღეს დასაკაზმავად საპრემიოდ გამზადებული „ლექსები და პოემები“ ი. ევდოშვილისა, ამიტომ მათის თხოვნით და პარის მოცემით ხელს ვაწერ

დედის ერთა იოთამი.

ხლობელთა და გარეშეთაგან ის ესმოდა, რომ მამა გვირგვილიანმა მოუკლა, რომ საჭიროა სისხლის აღებაო. 1900 წლის, გაზაფხულზე, ნესტორი ბიძასთან ყოფილა, სადაც გარდაცვალებულის სულის მოსახსენებელი ადაში გაუმართავთ. ნესტორის შინაურებსა და ბიძას ამ ადაშის დროს მოუგონებიათ, რომ ოცდა შვიდის წლის წინად მამ ნესტორ სა მოჰკლა ბეკმურზა გვირგვილიანმა და დღემდე შავლახას სისხლი არავის აუღია. ამიტომ ფარუყიანების მამაკაცები კაცებად არ უნდა იწოდებოდნენ და ქუდის მაგივრად მანდილი უნდა ეხურათ. ამ სიტყვებს ნესტორი ღრმად ჩაუფიქრებია და ბოლოს სისხლის აღება გადაუწყვეტია. 1900 წელს, 19 მაისს, ბეკმურზა გვირგვილიანი რაღაც საქმისთვის სოფელ ბეჩოში ბოქაულს დაუბარებია. საქმის გათავების შემდეგ ბეკმურზა გვირგვილიანი, იმისი ძმის-წული და ერთი მეზობელი ვიწრო ბილიკით დაბრუნებულან დატალში. როცა კარგა მანძილი გაუვლიათ, უეცრად ხშირ ბუჩქებიდან ვიღაცას უსროლია თოფი და გვირგვილიანი იქვე მოუკლავს. როცა პოლიციელი ფარუყიანის სახლში მისულა, იქ უთქვამთ, რომ ნესტორი ბიძასთან ერთად სკოლის შენობისათვის ტყის მასალის მოსატანად წავიდაო. ორი-სამი დღის შემდეგ ნესტორ ფარუყიანი თვით მისულა ბოქაულთან და განუცხადებია,—იმ დროს, როცა მკვლელობა მოხდა, მე ჭკადუასთან ვიყავ 15 მანეთის სასესხებლადაო. გამორკვეულა, რომ თუმცა ფარუყიანს ფული უსესხნია ჭკადუასაგან, მაგრამ ვექსილის მისაცემად სხვა კაცი მიუგზავნია. რადგან საკმაოდ გამორკვეულა ნესტორის დანაშაულობა, იგი პასუხის გებაში მიუციათ. ქუთაისის ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია ფარუყიანი და გადაუწყვეტია ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და კატორგაში 10 წლით გაგზავნა. სასამართლოს სასჯელის გადაწყვეტის დროს სახეში მიუღია ის გარემოება, რომ სისხლის აღება სვანებს ჩვეულებად აქვთ გადაქცეული, და ფარუყიანს პატარაობითვე ესმოდა, რომ სისხლის აღებაა საჭიროო, და ამიტომ დაადგინა,—შუამდგომლობა აღძრას, რომ ფარუყიანს 10 წლის კატორგა შეეცვალოს ზოგიერთ უფლების ჩამორთმევით და 5 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით.

ფარუყიანმა საქმე გადმოიტანა სამოსამართლო პალატაში. შაბათს, 20 სეკდემბერს, პალატამ დამნაშავედ იცნო ფარუყიანი და დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განჩენი. ამასთანავე პალატამ პატივსადებად მიიღო ზემოდ მოყვანილი მოსაზრებანი სასამართლოსი და დაადგინა იშუამდგომლოს, რომ ფარუყიანს სასჯელი შეეცვალოს ზოგიერთ განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევით და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 3 წლით გაგზავნით.

წერილი
რედაქციის მიმართ.

დარწმუნებული ვარ, შეგაწუხებთ ამ ჩემი პაწია წერილით, მაგრამ იმედი მაქვს მიშუამდგომლებს თქვენი პატივცემული გაზეთი დრამატიულ საზოგადოების წინაშე, რათა დამიბრუნონ ჩემი ორი პიესა: „ქორწინება სოფლად“, რომელიც წარმოდგენილი იყო ამ სამის წლის წინად გ. ასაშიძის ბენეფისში და საბავშვო ვოდევილი „სასტიკი ექიმი“ (ეს პიესა არ უთამაშნიათ). მივმართე პირადად და წერილობითაც გამგეობას და მხოლოდ ეს პასუხი მივიღე: პიესები ბიბლიოთეკაში არა გვაქვსო (??). მაშ რა იქნა? თუ ბიბლიოთეკაში არ არის, გამგეობამ კეთილ ინებოს მაინც და გაზეთის საშუალებით გამოაცხადოს, რომ თუ წაუღია ვისმე, დააბრუნოს.

ივ. მჭედლიშვილი.

„ივერიის“ ფოსტა

თ. ს. დ. გ—ლს. თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

ქ. პ—სკი. ძველ-გალავნელ ნიკოს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

ზ. ს. ა. გ. ქ—ას. თქვენი მოწერილი ამბავი არ დაიბეჭდება.

დ—ს მ. ს. წ—ს. თქვენი წერილი რედაქციის მიმართ არ დაიბეჭდება. გაზეთი ვერ გაერევა მაგისთანა საქმეების განხილვაში. ეგ სათანადო სასამართლოს საქმეა. ჯერ-ჯერობით მაინც კმარა, რაც იყო დასტამბული.

თელაველ შაქროს. თქვენი წერილი „ხონის რამე-რუმე“ და ლექსი „ჩემს იდეალს“ არ მივიღეთ.

ქ. ქუთაისი. ილია ფოფხაძეს. თქვენი წერილი არ გამოდგა დასაბეჭდად.

დეპეშა
(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 სეკდემბერი.

მიტავა. რათა მართლ-მადიდებელნი დაიცვან სხვა სარწმუნოების მაღიარებელ-მწვალებელთა გავლენისაგან, დაარსდა სარწმუნოებრივ-განმანათლებელი საზოგადოება, რომელიც გამართავს ფილოსოფიურ და სღვთისმეტყველო კითხვას და საუბარს.

ლონდონი. სხვა დიდთა სახელმწიფოთა მორიგებით, მაროკოს კრიზისის გადაწყვეტა მიენდო საფრანგეთს, რომელმაც უნდა დაიცვას status quo. საფრანგეთის პროტექტორატის შესახებ ლაპარაკიც-კი არა ყოფილა. ჰიბრალტარის სრუტესა და იმ ქალაქების შესახებ, რომელნიც მდებარეობენ მაროკოს ზღვის ნაპირად, მოლაპარაკებაა დიდთა სახელმწიფოთა შორის.

პარიჟი. ზოლას სიკვდილის წლის თავის შესრულების გამო, მისი საფლავი ინახულა რამდენიმე ათასმა კაცმა.

ვაშინგტონი. მოლაპარაკება ჩინეთიდან სავაჭრო ხელ-შეკრულობის გამო გათავდა. ჩინეთი დათანხმდა ორი ნავთსადგური გახსნას. პირობის ქაღალდს 25 სეკდემბერს მოაწერენ ხელს.

სოფია. დემირკაპუსთან მომხდარ ბრძოლის შესახებ აქ არაფერი არ არის ცნობილი.

20 სეკდემბერი.

ვენა. იმპერატორმა მიიღო გრაფი ჰედერვარი. ჰედერვარმა წარუდგინა იმპერატორს მოხსენება სამინისტროს სამსახურიდგან გადადგომისა და საქმეთა მდგომარეობის შესახებ. იმპერატორმა ბრძანა, ამ საქმეს მე გადავსწყვეტო.

სტამბოლი. რიცხვ-მრავალი ბულგართა ჯგუფები, ბულგარელ ოფიცერთა უფროსობით გადავიდნენ საზღვარს და შეესივნენ რაზლოგის მაზრას. ჯგუფები გამოჩნდნენ შემდეგს ქალაქებში: პეტრიჩს, მელნიკსა, დრამსა, ნევროკოპსა და ჯუმბაიაში, სადაც გამოაცხადეს საზოგადო აჯანყება.

იილდიზ-კიოსკის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა, რომელიც ხონთქართან დაახლოვებულია, საიდუმლოდ სთქვა ლაპარაკის დროს, რომ ხონთქარი ისე წინააღმდეგი აღარ არის ეხლა ბულგარიის მოთხოვნილებისა მაკედონიაში ქრისტიანი გუბერნატორის დანიშვნის შესახებაო.

დარმშტადტი. მოვიდა ინგლისის დედოფალი, რომელსაც თან ახლავს პრინცესა ვიქტორია.

სოფია. სამხედრო სამინისტრომ გამოაქვეყნა მთავრის ბრძანება, რომლითაც წლეულს გაეწვევა 24,000 ახალი ჯარის კაცი სამხედრო ბეგარის მოსახდელად.

ვილნო. მოვიდა კიდევ 2,000 ლტოლვილნი.

ლონდონი. მაროკოს საკითხის გამო საფრანგეთსა და ინგლისს შორის მოლაპარაკება გაგრძელდება მხოლოდ სამინისტროს შედგენის შემდეგ. შეთანხმების შესახებ გავრცელებული ხმები საფუძველს მოკლებულია.

პარიჟი. იაპონიის ფლოტი ამ ჟამად იმყოფება კორეის წყლის ნაპირებზედ, ფუზანის მწვერვალის გასწვრივ. გემებზედ არის რამდენისამე პოლკის ჯარები.

ლონდონი. ჩემბერლენი დაინიშნა ფინანსთა მინისტრად, ლიტტელტონი საახალშენო საქმეთა მდივნად, ფორსტერი სამხედრო მინისტრად, ბროდრიკ მდივნად ინდოეთში, მურრე — მდივნად შოტლანდიაში და სტანლი ფოსტათა დირექტორად.

პეტერბურგის ბირჟა 19 სეკდემბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,50
ბერლინში 100 მარკაში	45,90
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,45
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,50
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	99½ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95⅛ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგებ. ბილ. 1864 წ.	445 მყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	336½ წვ. გაყიდ.
5% გირავნ. ფურც. სასახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	286¾ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	94⅜
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
4% ტფილ. საადგ. მამ. ბანკისა გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	92½ წვ. გაყ.
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელთა სანავთო მრეწვ.	9500 გაყ.
აქციები „ „ „	—
„ კასპიის ამხანაგობისა	3850 წვ. გაყ.
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	—
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	192½ მყიდ.

გამოსადეგი ცნობები.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ. 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74₇₅ ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № 90/₉₁ შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/₈ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № 9/₁₀ დილის 9 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № ღამის 11 ს. 22 წ., ჩამოდის ტფილისს დილით 9 ს. 42 წ. 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 ს. 21 წ., ჩამოდის ტფილისს დილის 11 ს. 8 წ., 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ. ჩამოდის ტფილისს საღამოს 11 ს. 1 წ.

გ. ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) დილის 4 ს. 40 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 51 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ., ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 23 წ. 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 1 ს. ტფილისს მოდის დილის 5 ს. 5 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; და დღის 2 ს, 23 წ.

ბათუმისაკენ; ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 8 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებიაქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და იღგის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

საეკლესიო მუზეუმი
(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ვისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს— ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი
(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 2 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

კავკასიის მუზეუმი
მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

განცხადებანი

რეალურ სასწავლებელში კურს დამთავრებული **სწავლის განსაგრძობ სახსრის მოსაპოვებლად** ეძებს გაკვეთილებს, ან სხვა კერძო საქმეს.
ადრესი: ქუთაისში, ბაღის ქუჩა, სახლი ბოლქვაძისა № 25. (3—6—1)

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ყველა
ადვილად და პატიოსნურად იშოვის თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენი ადრესი! U. 11, an das
Annoncen-Bureau des Merkur
in Mannheim Meerfeldstrasse, 44.
(50—25)

ხეხილის ნერგები
საზღვარ გარეთისა და ადგილობრივი, საუკეთესო ხარისხისა, იყიდება ზომიერ ფასად ფარსადან იაკ. ავსარქისოვის მამულში. ადრესი: უბრალო წერილებისათვის—სკრა კავ. რკ. გზის სადგური. ხოლო ფულისა და „ზაკაზნოი“ წერილებისათვის: ქ. გორში ფარ. იაკ. ავსარქისოვს.
კატალოგები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ. (11—195—7)

მოკლე დროში დამთავრდება და გამოვა გასაყიდათ ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“
შოთა რუსთაველის
ვეფხის ტყაოსანი
სურათებით, წინასიტყვაობითა და ვრცელის ლექსიკონით.
წიგნში მოთავსებული იქნება აგრეთვე ოთხი სხვა-და-სხვა სურათი ავტორისა. წიგნი იბეჭდება კარგს ქაღალდზე და ეღირება შედარებით იაფად.

საწყობი ქაღალდის
მოსკოვი 1882 წ. დიტიატკოვის ამხანაგობის ნოვოგოროდი 1896 წ.
საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში.
ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, ალბომის ქაღალდი აგრეთვე ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.
საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი ფაბრიკის ფასად.
ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის სავაჭრო ბანკისა.
ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.
ტელეფონი № 66. (30—6.—28)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე
ფარმაცევტთა ამხანაგობა
ტფილისში
(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ).
ტელეფონი № 741.
აწარმოებს ვაჭრობას, ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი და წამლები (პატენტ-მიღებული), საღოსტაქრო იარაღი და შესახვევი სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქი და ლაბორატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი მინერალური სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალგვარი და მრავალ-ფერიანი საპირფარეშო სამკაული თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი — პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები — სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და-სხვა.
ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ.

მსწრაფლ მბეჭდავი
სტამბა
ექვთიმე ივ. ხელაძისა,
რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხების სასულიერო სემინარიის სახლებში;
იღებს ყოველ-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.
სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.
ფასი ყველასათვის ხელმისაწდომია.

სამკერვალო
ქალთა ტანისამოსისა.
ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად
ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად
ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.
აქვე მიიღება შესაკერად
კაბა-ანაფორა
და სხვა სასულიერო სამოსელი.
ტფილისი, წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.
ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე
ანა მერკვილაძისა.

Дозволено цензурою, Тифлисъ 23 сентября 1903 г. . Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяногиг. семинаріи დროებით-რედაქტორი ზ. ჭიჭინაძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი,